ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი.ბ.ა. „თ. --"–ის თავმჯდომარე ზ. თ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: თ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.11.2014

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 098/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. კ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 21 ნოემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი.ბ.ა. „თ. --"–ის თავმჯდომარემ ზ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ფ. კ.–სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ფ. კ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმოადგენდა ამხანაგობა „თ. —"–ის ყოფილი წევრების ნ. ს.–სა და ვ. ბ.–ის ინტერესებს სამოქალაქო საქმეებზე: №2.....–14, №2/9.....–14.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.–მ სასამართლოში საქმეზე №2/.....–14 სარჩელი შეიტანა გარდაცვლილი მარწმუნებლის ვ. ბ.–ის სახელით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ფ. კ.–მ, გარდა გარდაცვლილი პირის ვ. ბ.–ის უფლებამოსილების კანონდარღვევით გამოყენებისა, გააყალბა ვ. ბ.–ის ხელმოწერა, ვინაიდან ვ. ბ. გარდაიცვალა მიმდინარე წლის 01 ივნისს, ხოლო ადვოკატმა სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2014 წლის 06 ივნისს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ფ. კ.–მ კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოში სარჩელის შეტანასა და სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, რადგან კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მისთვის ცნობილი გახდებოდა, რომ ვ. ბ. გარდაიცვალა და სასამართლოს წარუდგენდა მის გარდაცვალების მოწმობას. აღნიშნული მოწმობა სასამართლოს წარუდგინა ამხანაგობამ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამხანაგობისათვის ცნობილია, რომ ადვოკატი ფ. კ. ფლობდა ინფორმაციას ვ. ბ.–ის გარდაცვალების შესახებ და მან შეგნებულად, განზრახ დაარღვია კანონმდებლობა, ამასთან მან სარჩელში არასწორად მიუთითა ვ. ბ.–ის მისამართიც.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ფ. კ.–მ 2014 წლის აპრილის თავიდან, თავისი მარწმუნებლის სახელით, სამჯერ მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით, სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით, რეგისტრაციების აკრძალვის მოთხოვნით ამხანაგობის წევრებისთვის. ადვოკატი ამ ხერხებით ახორციელებდა ამხანაგობის საქმიანობის სრულ პარალიზებას და ამხანაგობის წევრთა უფლებების შელახვას.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამხანაგობა ვერ ახორციელებს მათ მიერ შეძენილი ფართების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემას და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2014 წლის 31 ოქტომბერს ამხანაგობამ მიმართა საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა, რეგისტრაციების აკრძალვის შეწყვეტის რეგისტრაცია სასამართლო კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე. ადვოკატმა ფ. კ.–მ მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ყადაღა ამხანაგობის კუთვნილ იმ მიწის ნაკვეთებზე, სადაც განლაგებულია მრავალსართულიანი შენობა–ნაგებობები. ამის შემდეგ ადვოკატმა ფ. კ.–მ მოამზადა ახალი განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით, ამხანაგობის წევრებზე საკუთრების უფლების აკრძალვის თაობაზე და ხელახლა შეუჩერა ბინების რეგისტრაციები ამხანაგობის წევრებს. ასეთი ხერხებით იგი ცდილობს გამოსძალოს ამხანაგობას მისი მარწმუნებლებისათვის ის, რაც არ ეკუთვნით და რასაც სასამართლო არ მიაკუთვნებს, ვინაიდან არ აქვთ განხორციელებული სათანადო ფინანსური შენატანები.

1.8 2014 წლის 11 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა თ. კ.–მ განაცხადა, რომ როდესაც 2014 წლის ივნისის თვეში ნ. ს.–ს და ვ. ბ.–ის ადვოკატმა ფ. კ.–მ სასამართლოში მეორედ შეიტანა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, 10 (ათი) დღის შემდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს. თ. კ.–ის განცხადებით, 2014 წლის 01 ივნისს, გარდაიცვალა ვ. ბ., რის შესახებაც ფ. კ.–მ სასამართლოს არ შეატყობინა. ფ. კ.–მ სასამართლოში სარჩელი შეიტანა ვ. ბ.–ის სახელით, მისი გარდაცვალების შემდეგ, 2014 წლის 06 ივნისს. სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ფ. კ.–მ გაასაჩივრა მხოლოდ ნ. ს.–ს სახელით, ვინაიდან გასაჩივრებამდე, სასამართლოს ვ. ბ.–ის გარდაცვალების თაობაზე მან შეატყობინა. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება დატოვა ძალაში.

1.9 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ვინაიდან ფ. კ.–მ გააყალბა 2014 წლის 06 ივნისს სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე ვ. ბ.–ის ხელმოწერა, მან განცხადება შეიტანა საგამოძიებო უწყებაში.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა ფ. კ.–მ 2014 წლის 01 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც მიუთითა, საჩივრის ავტორის პრეტენზია მის მიერ კლიენტების მაღალ პროფესიულ დონეზე დაცვამ განაპირობა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის წარმოადგენდა ი.ბ.ა. ,,თ. —"-ის წევრების ვ. ბ.–სა და ნ. ს.–ს ინტერესებს. 2014 წლის 01 ივნისს ვ. ბ. გარდაიცვალა და ის ამჟამად ნ. ს.–სა და ვ. ბ.–ის ანდერძისმიერი მემკვიდრის - ქ. ს.–ს ინტერესებს იცავს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე ვ. ბ.–ს ჯერ კიდევ სიცოცხლეში აქვს ხელი მოწერილი და მისი თარიღიდან ირკვევა, თუ როდის არის ხელი მოწერილი.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტები დღემდე ცხოვრობენ ქირით და ელოდებიან ამხანაგობისაგან კუთვნილი ფართების გადაცემას, რომელიც მათ უნდა გადასცემოდათ საკუთარი საცხოვრებელი ბინის დათმობისა და ვ. ბ.–ის შემთხვევაში - გარკვეული საპაიო შესატანის გადახდის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობა „თ. —-ის" თავმჯდომარე პირდებოდა ვ. ბ.–სა და ნ. ს.–ას კუთვნილი ფართების გადაცემას, ზ. თ. დღეს უარს აცხადებს ამაზე და სასწრაფო წესით ახდენს დარჩენილი დაურეგისტრირებელი ფართების გასხვისებას, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მთლიანი უფლებამოსილება საცხოვრებელი ფართების განაწილებაზე გადაცემული აქვს ამხანაგობის თავმჯდომარესა და გამგეობის წევრებს. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე სასარჩელო წარმოების განმავლობაში, ადვოკატის მიერ უპირობოდ იქნება დაყენებული მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძების გამოყენების შესახებ, რადგან ამხანაგობის თავმჯდომარე სასწრაფო წესით ახდენს უძრავი ქონების რეალიზაციას. ადვოკატი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მიღებული აქვს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ვ. ბ.–ის გარდაცვალების შემდეგ ადვოკატი მისი სახელით ვერანაირ მოქმედებას ვერ განახორციელებდა, რადგან როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ვ. ბ.–ის გარდაცვალების შესახებ, მან სატელეფონო შეტყობინების გზით მომხდარის შესახებ აცნობა მოსამართლის თანაშემწეს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ სარჩელი შეტანილი იყო როგორც ვ. ბ.–ის, ასევე ადვოკატის მარწმუნებლის - ნ. ს.–ს სახელით და გარდაცვალების ფაქტის დამალვა არავის ინტერესში შედიოდა.

2.7 2014 წლის 29 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მან კლიენტის კანონიერი უფლების დასაცავად სასამართლოში მიმართვამდე, წერილობით მიმართა ი.ბ.ა. „თ. —"-ას, რათა მისი კლიენტებისთვის გადაეცათ ის ფართები, რომლის გადაცემის ვალდებულებაც მათ გააჩნდათ, მაგრამ ამხანაგობამ იგი უპასუხოდ დატოვა. ამის შემდეგ, როდესაც ადვოკატი სატელეფონო საშუალებით დაუკავშირდა ამხანაგობას, მათ განაცხადეს, რომ ისინი ვ. ბ.–ს არ იცნობდნენ, შესაბამისად მათ არანაირი ვალდებულება არ გააჩნდათ ფართების გადაცემის თაობაზე.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან მიმართა სასამართლოს აღიარებითი სარჩელით, რათა მის კლიენტს არ ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის საშუალება. მისი განმარტებით, სასარჩელო

წარმოების დაწყებამდე, მან სასამართლოს მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის მიზნით და ამხანაგობა თ. —“-ის უძრავ ქონებას დაედო ყადაღა. ადვოკატის განმარტებით, სასამართლომ განუხილველად დატოვა სარჩელი და მიუთითა, რომ მხარეს უნდა აღეძრა მიკუთვნებითი სარჩელი.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მან სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან არსებობდა სასამართლო პრაქტიკა სხვა მოსარჩელის აღიარებითი სარჩელით აღნიშნული ფართის მოთხოვნის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის განჩინება და ამის შემდეგ გაუქმდა ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიება.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მან მიმართა საჯარო რეესტრს განცხადებით და მოითხოვა, რომ სანამ მოსამართლე განიხილავდა მოსარჩელის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს, შეეწყვიტათ რეგისტრაციები უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოსამართლის მიერ ამ დოკუმენტის გაცემა დროში გახანგრძლივდა. ამის შემდეგ, როდესაც მან მიიღო სასამართლო განჩინება, აღნიშნული წარუდგინა საჯარო რეესტრს და კიდევ ერთხელ გამოიყენა უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიება.

2.11 ადვოკატის განმარტებით, სარჩელზე ხელმოწერა შესრულებულია ვ. ბ.–ის სიცოცხლეში, მის გარდაცვალებამდე დაახლოებით 5–6 დღით ადრე, რასაც მოწმობს სარჩელზე მითითებული თარიღი. მაშინ როდესაც მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა, ვერ მოახერხა კლიენტთან დაკავშირება, ვინაიდან მას ტელეფონი გამორთული ჰქონდა.

2.12 ადვოკატის განცხადებით, ის ვ. ბ.–ის მიერ სარჩელზე ხელმოწერის ფაქტს არ დასწრებია, რადგან მზა დოკუმენტი კლიენტთან ხელმოსაწერად გაატანა მის შვილს, რომელიც მან იმ დღესვე დაუბრუნა სასამართლოში წარსადგენად.

2.13 ადვოკატის განმარტებით, მან ვ. ბ.–ის გარდაცვალების შესახებ შეიტყო მაშინ, როდესაც სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი განუცხადა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო და იგი აღნიშნულის შესახებ შეეცადა ვ. ბ.–ის ინფორმირებას, დაახლოებით 2014 წლის 10 ივნისს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ფ. კ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, საერთო სპეციალიზაციის. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 ი.ბ.ა.“თ. —“–ის თავმჯდომარემ ზ. თ.–მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 21 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. კ.–ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე გააყალბა მარწმუნებლის ხელმოწერა, თავის კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოში სარჩელის შეტანისა და სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, სასამართლოს არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტის გარდაცვალების შესახებ, ხოლო ამხანაგობის საქმიანობას ხელს უშლიდა სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნით.

5.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.“

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლით დადგენილი დანაწესი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. ‘‘

5.4 საპროცესო კოლეგიამ არსებული ფაქტობრივი და დოკუმენტური გარემოებების საფუძველზე დაადგინა, რომ საჩივრის ავტორი არ წარმოადგენს ადვოკატის კლიენტს და შესაბამისად, მისი ინტერესები არ არის თანხვედრაში ფ. კ.–სა და მისი კლიენტების (აწ გარდაცვლილი ვ. ბ.–სა და ნ. ს.–ს) ინტერესთან.

5.5 საქმის მასალებით დგინდება, რომ 2014 წლის 22 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ლ. გ.–ს მიერ გამოტანილი განჩინების თანახმად, მოსარჩელეებს წარმოადგენს ვ. ბ. და ნ. ს., ხოლო მოპასუხეს მომჩივანი ი.ბ.ა. „თ. —“–ის თავმჯდომარე ზ. თ.. 2014 წლის 09 ივნისის ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ე. ბ.–ის მიერ გამოტანილი განჩინების თანახმად, საქმეზე მოსარჩელეებს წარმოადგენს ვ. ბ. და ნ. ს., ხოლო მოპასუხეს მომჩივანი ი.ბ.ა. „თ. —“–ის თავმჯდომარე ზ. თ.. 2014 წლის 28 მაისით დათარიღებულ ვ. ბ.–ისა და ნ. ს.–ს სამოქალაქო სარჩელში მოწინააღმდეგე მხარედ (მოპასუხედ) ფიქსირდება მომჩივანი ი.ბ.ა. „თ. —“–ის თავმჯდომარე ზ. თ.. შესაბამისად, ადვოკატი ფ. კ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმოადგენდა ამხანაგობა „თ. —“–ის ყოფილი წევრის (აწ გარდაცვლილი) ვ. ბ.–ის ინტერესებს მეორე კლიენტთან - ნ. ს.–სთან ერთად და არა

ამხანაგობა „თ. —“–ს, რომლის თავმჯდომარეც არის მომჩივანი ზ. თ. შესაბამისად, ცხადია საჩივრის ავტორს ი.ბ.ა. „თ. —“–ის თავმჯდომარეს ზ. თ.–სა და ადვოკატ ფ. კ.–ს კლიენტის ინტერესები, სადავო საკითხთან დაკავშირებით, საპირისპიროა.

5.6 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. მომჩივანის პრეტენზიასთან დაკავშირებით ადვოკატ ფ. კ.–ს არ გააჩნია პროფესიული ვალდებულებები, მეტიც ის წარმოადგენს ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლო წარმოებისას და ბუნებრივია მისი ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ადვოკატ ფ. კ.–ს ინტერესებთან, რამეთუ ადვოკატი მოქმედებს მისი კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, რასაც ადასტურებს საქმეში მხარეთა მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებები და თავად მომჩივანის პრეტენზიის საგანიც - 2014 წლის 28 აპრილის ვ. ბ.–ისა და ნ. ს.–ას სასარჩელო განცხადება.

5.7 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოისმინა მხარეთა პოზიციები, შეამოწმა საჩივრის ავტორის, როგორც ადვოკატის პროფესიული ქცევით უკმაყოფილო პირის უფლებამოსილება ადვოკატის მიმართ გამოხატულ პრეტენზიასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ი.ბ.ა. „თ. —“–ის თავმჯდომარე ზ. თ. არ არის უფლებამოსილი პირი საჩივრით მიმართოს ეთიკის კომისიას ადვოკატის ფ. კვ.–ს წინააღმდეგ.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ სააქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-6 მუხლით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 31-ე, 32-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №098/14 ადვოკატ ფ. კ.–ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქარაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/